



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1234
22/06/2018

ქალაქი ბათუმი

1234-05-4-201806221420



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის რეფერენტის გენდერულ საკითხებში მაგდანა მალაყმადის 2018 წლის 20 ივნისის №1759-05 მოხსენებითი ბარათის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - მახინჯაურის ადმინისტრაციულ ერთეულში გულნაზ ლლონტის 2018 წლის 15 ივნისის №8468/05 მოხსენებითი ბარათისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის მახინჯაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ალი მიქელაძის 2018 წლის 15 ივნისის №8467/05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1150 ბრძანებაში და ამავე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა